„ორეული“

Ребенка окрестили, при чем он заплакал и сделал такую гримасу, как будто предчувствовал, что будет титулярный советник.

გოგოლი

"ორეული" ფ. დოსტოევსკის მეორე ნაწარმოებია. ის დაიწერა მის კატორღამდელ ხანაში, 1846 წელს, "ბეჩავი ადამიანების" შემდეგ.

თავის ახალ ნაწარმოებზე მწერალი დიდ იმედს ამყარებდა, ძმისადმი მიწერილ წერილებში თავის "მომავალ შედევრად" ასახელებდა მას, მაგრამ "შედევრზე" მუშაობა მეტისმეტად გაუჭიანურდა მწერალს. "გოლიადკინი ჯიუტობს, თავის ხასიათს ავლენს, არაფრით არ სურს წინ წასვლა, ერთ ადგილს ტკეპნის", – ასე წერდა ძმას. ასეთადვე ისახებოდა გმირის ხასიათი – ის უნდა ყოფილიყო ჯიუტი და ამავე დროს ყოყმანის კაციც (რაც თითქოს გამოძახილი იყო გაჭიანურებული მუშაობისა). ავტორი იმდენად შეეთვისა გოლიადკინს, იმდენად მოიცვა ის გოლიადკინმა, რომ თავის ორეულადაც კი გაიხადა: ერთ წერილში "ნამდვილ გოლიადკინს" უწოდებს თავს. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, თავისი დაღი დაასვა თხზულებას: ავტორი თითქოს ჩასახლებულია თავის გმირში და მისი ენით მეტყველებს, მისებურად აზროვნებს.

"გოლიადკინი 10-ჯერ მაღლა დგას "ბეჩავ ადამიანებზე". ჩვენები ამბობენ, რომ "მკვდარი სულების" შემდეგ რუსეთში მსგავსი არაფერი ყოფილა, რომ ნაწარმოები გენიალურია და კიდევ რას არ ამბობენ! როგორი იმედით მიყურებს ყველა! მართლაც, გოლიადკინი მაგარი გამომივიდა! ისე მოგეწონება, რომ არ ვიცი! "მკვდარ სულებზე" უფრო მოგეწონება, ვიცი!" – წერდა ძმას, მაგრამ მწერალი შეცდა: "ორეული" აღარ მოუწონეს და შედევრადაც არავინ ჩათვალა. პირიქით, ის დაიწუნეს მწერლის თაყვანისმცემლებმა, პირველ რიგში, ბესარიონ ბელინსკიმ, რომელმაც რატომღაც გოგოლის ტრადიციებიდან გადახვევა უსაყვედურა, სხვებმა კი გოგოლის მეტისმეტი გავლენა მიაწერეს. ავტორი ამ შეფასებას სასოწარკვეთილებაში არ ჩაუგდია, მან ფხიზელი თვალით შეხედა თავის "შედევრს", განიზრახა მისი საფუძვლიანი გადაკეთება, – რაკი მასში "ნათელ იდეას" ხედავდა, – ხელახლა შექმნა, მაგრამ გადასახლებამ შეუშალა ხელი.

თითქოს უნდა გვეფიქრა, რომ კატორღის გამოცდილება, "მკვდარი სახლის" შთაბეჭდილებები დაჩრდილავდა "ორეულის" თემას და პრობლემას: თითქოს "ორეული" თავისი გოლიადკინითურთ უნდა დარჩენილიყო მისი ცხოვრების "არქაული" ხანის ფაქტად და დავიწყებას უნდა მისცემოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. გადასახლებიდან ჩამოსვლისთანავე მან ცალკე წიგნად გამოაქვეყნა თხზულების ახალი ვარიანტი და კარგა ხნის შემდეგაც არ შეუწყვეტია ფიქრი უფრო სრულყოფილი "ორეულის" შექმნაზე. მას სურდა გაემდიდრებინა გოლიადკინის სახე – გოლიადკინს თავის თავში უნდა მოეცვა ბევრი ისეთი რამ, რაც შემდეგ მის მართლაც შედევრებში განხორციელდა. თითქმის ყველა მოტივი, ხასიათობრივი თუ აზროვნებითი სულისკვეთება, მოქმედების დიალექტიკურობა, რამაც მისი მომავალი რომანების გმირთა სახეები შექმნა, უნდა ეტვირთა გოლიადკინს. თითქოს ავტორს სურდა, რომ მისი სიჭაბუკის ნაწარმოები ყოფილიყო ერთადერთი წიგნი, სადაც ის ყველაფერს იტყოდა. მისი ჩანაფიქრით, რომელიც განუხორციელებელი დარჩა, კერძოდ, მის აწეწილ ფიქრებს შორის უნდა ყოფილიყო ფიქრი ნაპოლეონობაზე (შდრ. რასკოლნიკოვის ფიქრები ნაპოლეონზე) ან რუსეთის აჯანყების მოთავეობაზე (ეს თემა დამუშავდა "ეშმაკებში"), ის უნდა შესულიყო პეტრაშევსკის არალეგალურ წრეში თავისი

ორეულის სახით და გაეცა თანამზრახველნი (ავტორს სურდა თავისი ცხოვრების საბედისწერო ხანა აღებეჭდა მხატვრულად), უნდა ეფიქრა ჟანგბადსა და წყალბადზე, როგორც უღმერთო ქვეყანაზე და სხვა. გოლიადკინში ავტორი წინასწარჭვრეტდა "იატაკქვეშელის" იმდროისათვის უნიკალურ ტიპს, როცა განსაზღვრავდა თავისი, შეიძლება ითქვას, პირველი ჭეშმარიტად დოსტოევსკისებური გმირის სახეს: "ეს არის ჩემი უმთავრესი იატაკქვეშელი გმირი."

ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც მოახერხა ავტორმა, ეს იყო ცვლილება ქვესათაურში – ნაცვლად "ბატონ გოლიადკინის თავგადასავლისა" ახალ ვარიანტს დაეწერა "პეტერბურგული პოემა", რაც "მკვდარი სულების" გამოწვევად უნდა ჩავთვალოთ (გოგოლმა თავის ნაწარმოებს "პოემა" უწოდა). ის ადრე წერდა ძმას, რომ გოგოლი თავისი სინთეზით ისეთი ღრმა არ არის, როგორც თვითონ თავისი ანალიზით. ამით დოსტოევსკიმ გაამხილა თავი, როგორც გოგოლის არა მხოლოდ მეტოქემ, არამედ მისმა მემკვიდრემაც. "ჩვენ ყველანი "შინელიდან" გამოვედით", – მას ეკუთვნის ეს აღიარება. პირველ რიგში ეს მიესადაგება სწორედ „ორეულს“. მართლაც, ბაშმაჩკინის მთვლემარე ცნობიერებაში თვითშეგნებას და საკუთარი ღირსების გრძნობას რომ გაღვიძებოდა, ის გოლიადკინი იქნებოდა. ამას გვიდასტურებს "შინელის“ ფინალი, სადაც მთელი პეტერბურგი აკლებული ჰყავს აკაკი აკაკიევიჩის გამძვინვარებულ ორეულებს.

არანაკლებ ესაფუძვლება გოლიადკინის უცნაურ თავგადასავალს კიდევ უფრო უცნაური თავგადასავალი კოლეგიის ასესორ კოვალიოვისა (გოგოლის მოთხრობა "ცხვირი").

არ არის შემთხვევითი, რომ დოსტოევსკის გმირი ამბის დასაწყისიდანვე სარკეში იხედება (თუმცა ეს შეიძლება იყოს ახლადგამოღვიძრებულის ბუნებრივი მოქმედება). სარკეში უნდა ჩანდეს მისი ორეულის კონტურები, რომელიც შემდეგ პეტერბურგის ქარბუქიან ქუჩებში აეკიდება. ასევე, დილიდან იწყება გოგოლის მოთხრობა "ცხვირი"; კოლეგიის ასესორი ანუ, როგორც თავის თავს უწოდებდა ამბიციურად, მაიორი კოვალიოვი იღვიძებს და სარკეში იხედება. "მას სურდა – მოგვითხრობს გოგოლი – შეეთვალიერებინა მუწუკი, წინა საღამოთი რომ გამოუვიდა ცხვირზე, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ცხვირის ნაცვლად გლუვი ადგილი დალანდა სარკეში შეშინებულმა..."

შეშინებულს გაეღვიძა გოლიადკინსაც, გულისხეთქებით მივარდა სარკეს თავისი ფიზიონომიის შესამოწმებლად და კმაყოფილი დარჩა, რომ იგივე სახე დახვდა სარკეში – არც რაიმე გარეშე მუწუკი, არც რამე განსაკუთრებული არ ეტყობოდა. მაგრამ განსაკუთრებული იმავე დღეს გამოჩნდა, რითაც დადასტურდა, რომ ბატონი გოლიადკინის გაღვიძება იმ დილით არ იყო ჩვეულებრივი გაღვიძება. ამ დილიდან დაიწყო მისი სატანჯველი, წინ და უკან წრიალი პეტერბურგის ქუჩებში, რესტორნებში, ბაზრებში, "პრისუტსტვიებში". ამავე დროს მას თან ახლავს რაღაც ახალი განცდა, რომელიც დღის ბოლოს მის ორეულად გამოიკვეთება.

გოგოლის მოთხრობაში "ემანსიპირებული" ცხვირი ეუბნება თავის პატრონს "Вы ошибаетесь, милостивый государь, я сам по себе". გოლიადკინ-უფროსიც, გოლიადკინ-დედანიც, სულ მუდამ გაიძახის я сам по себе, იმის შიშით, ვაითუ ორეულს უკვე ნათქვამი ჰქონდეს ეს სიტყვები თავისთავადობის მოსაპოვებლად და თავისი "დედნის" განსადევნად დეპარტამენტიდან.

გოლიადკინი დიდი ორიგინალია, ის ყველასთვის სხვა არის, ის არ ჰგავს სხვა ჩინოვნიკებს, რომლებიც ავსებენ "პრისუტსტვიეს", თუმცა არც ის უნდა მას, რომ სრულიად განსხვავებული იყოს დანარჩენი სამყაროსაგან; ის სადღაც გაჩხერილია ის "სხვებსა" და

"თავისთავადობას" შორის. გოლიადკინის თავისთავადობას "კუნჭულში" აქვს ფესვი და თავშესაფარი. მარტოობაში, უამხანაგობაში მან გამიჯნა საკუთარი თავი. "Голядкин сгорает в одиночестве", წერს ვ. კოროლენკო. "კუნჭული" დასაწყისიდანვე სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს: "უჯრის უკიდურესი კუნჭული", "საფულის უკიდურესი კუნჭული", "კარეტის კუნჭული", "რომ შემძვრალიყო სადმე, ხვრელში", "თუნდაც თაგვის სოროში შემძვრალიყო თავის კარეტიანად..." ეს "კუნჭულის კაცი" თავისი სულიერი სიღატაკით ფანტასტიურობამდეა მისული (ამიტომაც დაბადა თავისი ფანტასტიური ორეული), რადგან „არსებობს, ამბობს დოსტოევსკი, ისეთი სიღატაკე, გეფიცებით, ბატონებო, არსებობს წმიდაწყლის, ნაღდი, ასე ვთქვათ, ფანტასტიურამდე მისული რეალიზმი..." აქ, მართალია, ლაპარაკია ნივთიერ სიღატაკეზე, მაგრამ "ორეული" გვიდასტურებს, რომ არანაკლებ ფანტასტიურია სულიერი სიღატაკის რეალიზმი.

ამ "კუნჭულიდან", როგორც ჩანს, იბადება "იატაკქვეშელი" გმირი. "ეს არის ჩემი უმთავრესი იატაკქვეშელი გმირი", – წერდა მოგვიანებით ავტორი თავის გოლიადკინზე. და კიდევ უფრო ამკვეთრებდა ამ სახელს და ფართო მასშტაბში აზოგადებდა. "იატაკქვეშელი კაცი მთავარი კაცია რუსულ სამყაროში". სწორედ იმ ხანაში, როცა მწერალი ფიქრობდა "ორეულის" გადამუშავებას, ჩაისახა იდეა "იატაკქვეშელი კაცის ჩანაწერებისა." აშკარაა, რომ გოლიადკინმა წარმოშვა "იატაკქვეშელი", რომელმაც გაბედულად იღადადა ავტორის ტრაგიკული ჭეშმარიტებანი.

მიუხედავად ყველასგან განკერძოების სურვილისა, რაც კუნჭულებისკენ მისწრაფებაში გამოიხატება სიმბოლურად (თუმცა ის მუდამ გაიძახის, ალბათ შენიღბვის მიზნით, რომ ის сам по себе), გოლიადკინის სამყარო ფანტასტიურად ღარიბია, შეიძლება ითქვას, ცარიელია, და ეს სიცარიელე "სხვებით" არის დასახლებული; მისი ცნობიერება შეძერწილია მოარული, ტრაფარეტული განცდებითა და ფიქრებით, რომელთაც ის გარე სამყაროს ვერ დაუპირისპირებს. ის ამხელს თავს კრისტიან ივანოვიჩთან საუბარში, რომ ის სხვებივით ცხოვრობს, სხვებივით ერთობა, სხვებივით დადის წარმოდგენებზე, სხვებისგან არაფრით განსხვავდება... და მაინც ისევ და ისევ თავისი გზით, განცალკევებით მიდის, სხვის საქმეში ცხვირს არ ჰყოფს, მიკიბულ-მოკიბული გზებით სიარული არ სჩვევია და ნიღაბს მხოლოდ მასკარადებზე იკეთებს... ასეთი ამპლიტუდა საერთოდ და man-დან პიროვნულ გზამდე, კერძოდ, ყველაზე მეტად დოსტოევსკურია გოლიადკინში.

"В пику им, в пику!" – გამუდმებით გაიძახის ის თავისი მტრების მიმართ – ეს არის მისი მოქმედების, შესაძლოა, ცხოვრების ლეიტმოტივი. მაგრამ რით უპირისპირდება ის თავის უხილავ და ხილულ მტრებს (მხოლოდ მტრებს? მთელს საზოგადოებას, მთელს პეტერბურგს, მთელს კაცობირიობას, საკუთარ თავსაც კი!)? ისევ და ისევ იმავე ინტრიგანული ფილოსოფიით და ზნეობრივი კატეგორიებით, რომლები დეპარტამენტებშია გამომუშავებული. გოლიადკინის მეტყველება გამოხატავს მის სულიერ სიღატაკეს და უფერულბას – ის მეტყველებს ნაწილაკებით, ნაცვალსახელებით, გამოთქმებით, რომელთაც არ ეკისრებათ ინდივიდუალურის გამოხატვა; ის გარკვევით არაფერს ამბობს (ან ვერ ამბობს); მისი მეტყველება უკიდურესად სწორედ მაშინ ღარიბდება, როცა ის რაღაც მნიშვნელოვანს გამოთქვამს, და ამ სიდუხჭირიდან ამ სიცარიელიდან იბადება ორეული. არ არის შემთხვევითი, რომ მოთხრობის დასაწყისშივე გმირი სარკეში იხედება (ვერ გავყვებით სარკის სიმბოლიკას, მის სატანურ მხარეს). იქ უკვე ჩანს მისი ორეული, რომელიც შემდგომ პეტერბურგის ქარბუქიან ქუჩებში აედევნება (დედანი – ორეულს!). ის იქნება მისი უმგვანი ოცნების ხორცშესხმა, ისევე, როგორც ივან კარამაზოვისათვის ოცნებაში ეშმა და რეალობაში სმერდიაკოვი. ორეული გალიადკინ-უმცროსი მისი სირცხვილია, აქ

გოლიადკინ-უფროს ეჩვენება, რომ ეს საქმე მტრების ჩაწყობილია, სახელდობრ, არანამდვილი გოლიადკინის შექმნა, თუმცა ჯერ თავად უარყოფს თავის თავს, ანუ თავად არის ორეულის გამჩენი.

მაგრამ პარადოქსი სწორედ ის არის, რომ ეს სიცარიელე, ეს სიდატაკე წარმოშობს თავისივე თავიდან ორეულს გოიადკინ-უმცროსის სახით. ისეთსავე დატაკს და "სხვათა" უამრავთა მსგავსს, როგორიც თვითონ არის. საგულისხმო ის არის, რომ გოლიადკინმა თავად შემოუშვა თავის თავში ორეული, როცა ცისფერ კარეტაშიი მჯდარ თავის უფროს ანდრეი ფილიპოვიჩს გადაეყარა უდროო დროს, ყოყმანში მისალმებოდა თუ არა, გაემჯღავნებინა თუ არა თავისი თავი, ანუ, რაც მთავარია, დაედასტურებინა თუ არა საკუთარი თავი გოლიადკინად; მაშინ გაუჩნდა აზრი, სხვად მოეჩვენებინა თავი მისთვის: "Именно не я, не я да и только!- говорил господин Голядкин, снимая шляпу пред Андреем Филипповичем и не сводя с него глаз, - Я, я ничего, - шептал он через силу, - я совсем ничего, это вовсе не я, не я, да и только". ამ თვითუარყოფამ შექმნა ორეული. ეს შეიძლება შემთხვევით მოხდა, როცა ორი კარეტა ერთმანეთს გაუსწორდა და გოლიადკინმა თავის "კუნჭულში" დამალვა ვერ მოასწრო, მაგრამ სხვადყოფნის პათოსი ქვეშეცნეულად ყოველთვის არსებობდა გოლიადკინში, სხვადყოფნისა და, ამასთანავე, სხვაგანყოფნის გაურკვეველი სურვილი. ეს პირწმინდად პეტერბურგული იდეაა, ამიტომაც ეწოდება ნაწარმოებს "პეტერბურგული პოემა". აქ მეორდება "ბრინჯაოს მხედრის" თემა: საბრალო ევგენი მუშტს უღერებდა ქალაქის დამფუძნებელს და გარბოდა იქიდან. გოლიადკინს არაფერი გაეგება ქალაქის პრეისტორიისა, არც მუშტებს იღერებს, მაგრამ, შესაძლოა, როგორც მოთხრობის დასაწყისში ჩანს, მას ყოველ ღამით ესიზმრება "ცხრა მთასიქითა" ქვეყანა, და გამოღვიძებისას სიმწრით ხუჭავს ისევ თვალებს, რომ ერთი წამით მაინც დაიბრუნონს, იმდენად ძლიერია სწრაფვა "ფანტასტიურად" რეალური პეტერბურგის უარყოფისა და მისგან გაქცევისა, რომ "თეთრი ღამეების" გმირი არათუ სიზმრად, არამედ ამ "ფანტასტიურსავე" ქალაქში მოელის ისეთი საიდუმლო კუთხის არსებობას, სადაც "რომელიღაც სხვა, ახალი" მზე ანათებს "უცხო, განსაკუთრებული "ნათელით, რომ აქ თითქოს "ცხრამთასიქითური ცხოვრება" დუღს. მაგრამ რა წაიყვანს მას „ცხრა მთას იქით? ის სამუდამოდ რჩება პეტერბურგში მის მკვიდრად, თითქოს მასთან ერთად შობილად, რადგან ისიც ამ ქალაქივით გამოგონილია სხვებთან ერთად, რომელთაგან ყველა – ნამდვილი თუ ცრუ – ერთია: პრისუტსტვიეში არ დაგიდევენ, რომელი გოლიადკინი ასრულებს საქმეს, ცრუ თუ ნამდვილი. თუმცა „ორეულის“ აზრი აშკარაა: სწორედ ნამდვილს არ დაედგომება არც დეპარტამენტში, არც დაქირავებულ სახლში, არც საზოგადოებაში, არც თავად პეტერბურგში. არსად.

იმ დილიდან სარკეში ჩახედვისთანავე ცნობიერდება გოლიადკინის შეგნებაში ყოფიერების ჭაობი (პეტერბურგულ აპოკალიპტიკაში არსებობდა განცდა იმისა, რომ ეს ქალაქი, ჭაობიდან ამოზრდილი, ჭაობშივე ჩაიძირებოდა, რომ ის საბოლოოდ დაცარიელდებოდა, Петербургу быть пусту – იყო მოარული თქმა) თავის სირცხვილთან, სირცხვილეულ ყოფასთან ("ამ დროს ბატონი გოლიადკინი ძილშიც კი წითლდებოდა..."), რასაც ის თავის უარყოფამდე მიჰყავდა "გადამწყვეტ" წუთებში. "...ხომ არ აჯობებს, ისე დავიჭირო თავი, თითქოს მე მე კი არა ვარ, არამედ ვიღაც სხვა..." გოლიადკინს არ სურს იყოს გოლიადკინი ("აჰ, შე გოლიადკა..."): ეს სატანური სურვილი სხვადყოფნისა გზას უხსნის თვითმარქვიობის სტიქიას, რაც ლამის ხალხის მეტაფიზიკურ თვისებად არის ქცეული. ავტორმა გოლიადკინში იმთავითვე ჩადო თვითმარქვიობის დვრიტა, რაც მის საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა. მოთხრობის გადამუშავებული ვარიანტისთვის გამიზნულ

ჩანაწერებში "ცნობილი ყაჩაღი" გარიბალდი ხდება მისი ორეული და ისიც ეძებს მას, როგორც მაიორი კოვალევი თავის ცხვირს, – რომელიც სინამდვილეში გადამდგარი სახელმწიფო მრჩეველი აღმოჩნდება, აგურის შესახვევში მცხოვრები*.

გოლიადკინი ისეთი სახეა, რომელიც პოტენციურად მოიცავს, როგორც ითქვა, დოსტოევსკის მომავალი რომანების გმირებს, რომელთაც კი თავისი საიდუმლო ("სეკრეტი") აქვს, გოლიადკინსაც ჰქონდა თავისი საიდუმლო – ოცნება იდეალურ გოლიადკინზე, რომელიც სახელმწიფო მრჩევლის ოლსუფი ივანოვიჩ ბერენდეევის პირის ხილვის ღირსიც კი შეიძლება გამხდარიყო. გოლიადკინმა იხილა თავისი ოცნება გოლიადკინ-უმცროსის სახით და შეზარდა. მისი ტრაგიზმი სწორედ ამ თავზარდაცემაშია და არა იმაში, რომ ორეულმა განდევნა ის დეპარტამენტიდან, ცხოვრებიდანაც კი, რადგან დეპარტამენტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, ვერც მას, ვერც ანდრეი ფილიფოვიჩს, თუნდაც, ან მითუმეტეს, ოლსუფი ივანოვიჩს, რომლის სახე გოლიადკინისთვის ღრუბლებში იყო გახვეული. მისი სნეული ცნობიერება უიმედო სიზმრებში შეჰქმნის არა ერთსა და ორს, არამედ უსასრულო რიცხვს ორეულთა, თვის მსგავსთა, რომელნიც აავსებენ ქ. პეტერბურგს ორეულთა ფანტომებით – იმ გამონაგონ ქალაქს – და მათ შორის ყველა – ნამდვილი იქნება თუ ცრუ – ერთია. დეპარტამენტში არ დაგიდევენ, რომელი შეიტანს უფროსთან ხელმოსაწერად გამზადებულ ქაღალდს – ცრუ თუ ნამდვილი. მაგრამ, საბოლოოდ, ისე მოხდება, რომ ცრუნი, თვითმარქვიანი გამოაძევებენ ნამდვილს ამ ფანტასტიური ცხოვრებიდან. ამას ისმენს საბოლოოდ ნამდვილი გოლიადკინი გერმანელი ექიმის პირით.

დოსტოევსკი წერდა: "მხოლოდ მე ერთმა ავსახე იატაკქვეშეთის ტრაგიზმი, რომელიც მდგომარეობს ტანჯვაში, თვითგვემაში, უკეთ შეგნებაში და მის ვერმიღწევაში..." "ორეული" დაუწუნეს მწერალს, ის უკანსვლად ჩაუთვალეს, ის კი მაინც წერდა თავის სიჭაბუკის ნაწარმოებზე: "მაგრამ ეს ჩემი დიდებაა, რადგან აქ არის სიმართლე".

---

* აგურის შესახვევში 1846 წლის გაზაფხულზე თავად ფ. დოსტოევსკი ცხოვრობდა. ხოლო რაც შეეხება გარიბალდის, 21 წლის შემდეგ (1867 წ.) იტალიურ დღიურში მწერლის ცოლი წერს: „შორიდან, როცა მისი (გარიბალდის) შუბლი დავინახე, მე მომეჩვენა, რომ ეს ფედია იყო, ისე ჰგავდა მისი შუბლი გარიბალდის შუბლს“.